დ ა ს კ ვ ნ ა

დადგენილების პროექტის თაობაზე

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბახმაროს ტერიტორიაზე მეთვალყურეობის გარეშე მყოფი წვრილფეხა და მსხვილფეხა შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 ივლისის #21 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმათაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

პროექტის სამართლებრივი საფუძველია „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

იურიდიული განყოფილების I კატეგორიის უფროსი

სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის

საკითხებში: **მარიამ დოლიძე**